

საქმის სახელწოდება:	ა. ა. და სხვები შვედეთის წინააღმდეგ (განაცხადი N34098/11)
განმცხადებელთა წარმოშობის ქვეყანა:	სომალი
გადაწყვეტილების თარიღი:	24-07-2014
ციტირების წესი:	A.A. and Others v Sweden
სასამართლოს სახელწოდება:	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
საკვანძო სიტყვები:	შეიარაღებული კონფლიქტი, წარმოშობის ქვეყანა, სანდოობის შეფასება, ეროვნული დაცვა, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი

### გამოყენებადი სამართალი

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-3 მუხლი

### საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

განმცხადებლები არიან წარმოშობით სომალიდან, ისინი დაიბადნენ (1964 წ., 1990 წ., 1994 წ. და 1997 წ.) და აღიზარდნენ მოგადიშუში (სომალი). განმცხადებლები შვედეთის ტერიტორიაზე შევიდნენ 2009 წლის 1 ივნისს და მათგან ორმა, რომლებიც დაბადებულნი არიან 1964 წელს (შემდგომში - პირველი განმცხადებელი) და 1990 წელს (შემდგომში - მეორე განმცხადებელი) შემდეგ დღესვე მოითხოვეს თავშესაფარი და ბინადრობის ნებართვა. პირველმა განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ისინი 1999 წლიდან სომალის სამხრეთ ნაწილში, სოფელ ჰოსინგოში ცხოვრობდნენ და შეიკალის კლანის წევრები იყვნენ. ამავე განმცხადებელს საუდის არაბეთში ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება. მისივე განმარტებით, 1999 წლის შემდეგ ის საუდის არაბეთში არ ყოფილა, თუმცა საქმის განხილვისას მის პასპორტში აღმოჩენილი იქნა შტამპები 2000 და 2005 წელს, რომელთა მიხედვითაც, ის იმყოფებოდა სომალის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჯიბუტში, რისი გავლითაც იგი გაემგზავრა საუდის არაბეთში. განმცხადებელმა აღიარა, რომ 1999 წლის შემდეგ ნამყოფი იყო საუდის არაბეთში და აღნიშნული იმით ახსნა, რომ ის ჯიბუტის გავლით გაემგზავრა იქ. გარდა ამისა, პასპორტში აღმოჩენილი იქნა 2005 წლამდე პერიოდის შტამპები, რომლებიც იყო სომალილენდის ქალაქების ლოვიაკადო, ბორამას და ბერბერასი, თუმცა განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ის ჰოსინგოში, სამხრეთ სომალში იმყოფებოდა თავის ოჯახთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ალ-შაბაბმა ჰოსინგოზე კონტროლი 2008 წელს დაამყარა, რის შემდეგაც პირველი განმცხადებელი აღნიშნული ალ-შაბაბის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციებში იღებდა მონაწილეობას, რის შედეგადაც მათ მოსაკლავ პირთა სიაში მოხვდა. 2009 წელს ალ-შაბაბთან მოლაპარაკების მცდელობა უთანხმოებით დასრულდა, რასაც პირველი განმცხადებლის განმარტებით, მოლაპარაკების შემდეგვე, ორი ნიღბიანი კაცის მიერ სოფლის სულიერი ლიდერის მკვლელობა მოჰყვა. ამ შემთხვევის შემდეგ, უკვე პირველი განმცხადებლის სახლში მივიდნენ ნიღბიანი პირები და ის იკითხეს. აღსანიშნავია, რომ განმცხადებლებს არ შეეძლოთ გადაადგილება სომალის სხვა ნაწილში, რადგან მათი კლანი ქვეყნის სხვა ნაწილში არ იყო წარმოდგენილი, ხოლო ალ-შაბაბის კონტროლი ყველგან ვრცელდებოდა.

მეორე განმცხადებელმა (რომელიც ქალბატონი იყო) აღნიშნა, რომ მისი მეუღლე და დედა ჰოსინგოში დარჩნენ, მოგვიანებით მანაც დატოვა ქალაქი და მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. გარდა ამისა, მეორე განმცხადებელს ჰოსინგოში ჰყავდა 5 დედამამიშვილი, ბიძები და ბიძაშვილები. მეორე განმცხადებლის ინფორმაციის თანახმად, 2006 წელს მის ოჯახს ალ-შაბაბთან პრობლემები შეექმნა, რის შემდეგაც მათ 2008 წელს განმცხადებლის სახლი დაწვეს. ამის გამო, მეორე განმცხადებელს ზედა ტანზე ნაიარევები დარჩა. მას შემდეგ, რაც 2008 წელს ლიდერი მოკლეს, განმცხადებლის მამა და ქმარი იძულებული გახდნენ წასულიყვნენ სოფლიდან. მეორე განმცხადებელს ეშინოდა, რომ სომალში დაბრუნების შემთხვევაში, ალ-შაბაბის წევრები გააუპატიურებდნენ.

შვედეთის საიმიგრაციო საბჭოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით განმცხადებელთა მოთხოვნა თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა. საბჭომ მიუთითა, რომ რთული იყო სომალის მოქალაქეების იდენტობის დადასტურება, რადგან სომალში არ არსებობდა ორგანო, რომელიც გასცემდა პასპორტებს ან საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს. შესაბამისად, განმცხადებელთა ისტორიები გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო მათი წარმომავლობის განსაზღვრისას. საბჭომ მიუთითა, რომ პირველმა განმცხადებელმა წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია სოფელ ჰოსინგოს შესახებ, რომელიც სომალის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, თუმცა მისი დიალექტი სიტყვების გამოთქმების მიხედვით სომალის ჩრდილოეთი ნაწილისთვის იყო დამახასიათებელი. გარდა ამისა, მას პასპორტში ორი შტამპი ჰქონდა, რომელიც ადასტურებდა მის ყოფნას სომალილენდში. პირველი განმცხადებლის პასპორტში წარმოდგენილი შტამპები არ ადასტურებდა მის ყოფნას სომალის სამხრეთ ნაწილში. დაბოლოს, მის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში არსებობდა შეუსაბამოებები მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ლიდერის მოკვლის თარიღთან, ალ-შაბაბის მიერ დევნის მიზეზებთან და სომალის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

მეორე განმცხადებელს ჩაუტარდა ენის ტესტი, რომელმაც დაადასტურა, რომ ის წარმოშობით სომალილენდიდან იყო. უფრო მეტიც, მას არ შეეძლო დეტალური ინფორმაციის მოწოდება მისი სოფლისა და საკუთარი კლანის შესახებ. საბოლოო ჯამში, შვედეთის მიგრაციის საბჭომ სანდოდ არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ განმცხადებლები ცხოვრობდნენ ჰოსინგოში სომალიდან გამომგზავრების შემდეგ. საბჭომ უფრო შესაძლებლად მიიჩნია ის, რომ განმცხადებელთა სახლი სომალის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა.

მიგრაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება განმცხადებლებმა გაასაჩივრეს საიმიგრაციო საქმეთა განმხილველ სასამართლოში, რომელმაც ძალაში დატოვა მიგრაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერაც და ამოქმედდა განმცხადებელთა დეპორტაციის შესახებ ბრძანება. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ არსებობდა ახალი გარემოებები, რომელთა გამოც არ შეიძლებოდა ბრძანების აღსრულება. თუმცა, მიგრაციის საბჭომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ისეთი ახალი გარემოება, რომელიც საქმის თავიდან განხილვას გაამართლებდა.

2011 წლის 31 მარტს, განმცხადებლებმა საქმის ხელახალი განხილვა ითხოვეს, თუმცა, ახლად აღმოჩენილი გარემოებების წარმოუდგენლობის გამო, 2011 წლის 6 მაისს შვედეთის მიგრაციის საბჭომ თავისი გადაწყვეტილების გადასინჯვაზე უარი განაცხადა. ხოლო საიმიგრაციო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებელთა საჩივარი საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შვედეთის შესაბამისმა ორგანოებმა არ დააკმაყოფილეს განმცხადებელთა შემდგომი მოთხოვნები 2012 წლის იანვარსა და მარტში დეპორტაციის ბრძანების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ, განმცხადებლებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს და აღნიშნეს, რომ მათ დეპორტაციას, შესაძლოა, ევროპული კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა მოჰყოლოდა, რაც წამების აკრძალვას გულისხმობს: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.“

### **სასამართლოს გადაწყვეტილება და შესაბამისი დასაბუთება:**

განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ სომალში დაბრუნების შემთხვევაში, ისინი აღმოჩნდებოდნენ კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რისკის წინაშე. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს, რომ ისინი წარმოშობით იყვნენ ჰოსინგოდან (სომალის სამხრეთ ნაწილი), სადაც დაბრუნება არ შეეძლოთ, რადგან სომალის სამხრეთ და ცენტრალური ნაწილის მთელ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობა შეიარაღებული კონფლიქტის გამო იდგა სერიოზული და ინდივიდუალური საფრთხის წინაშე. ამათან, განმცხადებელბს არ

ჰყავდათ ნათესავი, ოჯახის წევრები, კლანი და არ ჰქონდათ რაიმე კავშირები სომალილენდში ან სომალის ჩრდილოეთ ნაწილში; მათ არ შეეძლოთ ამ ტერიტორიებზე დასახლება და შეღწევის ნებართვის მოპოვებაც კი.

ამ ყოველივეს საპირისპიროდ მთავრობის წარმომადგენლების მიერ განმარტებულ იქნა, რომ განმცხადებლები ადრე ცხოვრობდნენ სომალილენდში და არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ ისინი არ იქნებოდნენ უსაფრთხოდ, იქ დაბრუნების შემთხვევაში. შესაბამისად, შესაძლებელი იყო განმცხადებელთა დაბრუნება სომალილენდში, სადაც უსაფრთხოების კუთხით არსებული სიტუაცია მისაღები იყო და შესაძლებელი იყო თვითმფრინავით პირდაპირი რეისით გადაფრენა.

გარდა ამისა, მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებლებისათვის ჩატარებული ენის ტესტი მიუთითებდა, რომ ისინი ცხოვრობდნენ სომალილენდში ქვეყნის დატოვებამდე. დაბოლოს, მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყო ბუნდოვანი და არ იყო დეტალური სომალის ცენტრალურ ნაწილში არსებული მდგომარეობასთან დაკავშირებით; ამასთან, მათ ვერ შეძლეს დეტალური ინფორმაციის მოწოდება ჰოსინგოს შესახებ. შესაბამისად, მათი განცხადება 1999 წლამდე სომალის სამხრეთ ნაწილში ცხოვრებასთან დაკავშირებით არ იქნა სანდოდ მიჩნეული.

სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალში კარგად დამკვიდრებული პრაქტიკისა და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებების შესაბამისად, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, აკონტროლონ თავიანთ ტერიტორიაზე უცხოელთა შემოსვლა, ყოფნა და გაძევება. სასამართლომ ასევე ისიც აღნიშნა, რომ უცხოელის გაძევებამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა და შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აღნიშნული დარღვევის გამო. მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ პირის დეპორტაციის შემთხვევაში, ის აღმოჩნდება კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რისკის ქვეშ, ეს მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, რომ არ მოახდინოს პირის დეპორტაცია.

იმისათვის, რომ სასამართლომ დაადგინოს არსებობს თუ არა ასეთი საფრთხის არსებითი საფუძველი განმცხადებლის მიმართ, ის აფასებს იმ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისობას მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტთან, სადაც უნდა მოხდეს პირის დაბრუნება. ეს სტანდარტი გულისხმობს იმის განსაზღვრას, აღწევს თუ არა სისასტიკის მინიმალურ დონეს ის მოპყრობა, რომ გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. აღნიშნულის შეფასება დამოკიდებულია ინდივიდუალური საქმის გარემოებებზე. მე-3 მუხლის აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, კონვენციით გათვალისწინებული დაცვა შეიძლება გავრცელდეს იმ შემთხვევებზეც, როდესაც საფრთხე მომდინარეობს

ინდივიდებისგან ან ინდივიდთა ჯგუფისგან. ნებისმიერ შემთხვევაში, დადასტურებული უნდა იყოს ის, რომ პირის მიმართ არსებობს ასეთი საფრთხის რეალური რისკი და შესაბამისი სახელმწიფოს ორგანოებს არ შეუძლიათ მისთვის სათანადო დაცვის უზრუნველყოფა.

სასამართლო მიუთითებს, რომ რეალური რისკის არსებობის შეფასება მკაცრად უნდა მოხდეს. ამ შემთხვევაში, პრინციპულად მნიშვნელოვანია, განმცხადებელმა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაამტკიცებს, რომ არსებობს არსებითი საფუძველი იმისა, რომ განმცხადებლის დაბრუნების შემთხვევაში, ის დაექვემდებარება კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას. თუმცა, როდესაც სახეზეა ინფორმაცია, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავშესაფრის მაძიებლის განცხადებებს, მან უნდა წარმოადგინოს სათანადო ახსნა-განმარტება არსებულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ განისაზღვროს დაბრუნების განჭვრეტადი შედეგები, სასამართლო მხედველობაში იღებს ქვეყანაში არსებულ ზოგად მდგომარეობას და განმცხადებლის საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს. ამ შემთხვევაში, სასამართლო აფასებს რამდენად აქვს ზოგადად ძალადობრივ მდგომარეობას ადგილი იმ ქვეყანაში, სადაც პირის დაბრუნება უნდა მოხდეს.

ამ საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ შვედეთის უფლებამოსილ ორგანოებს სომალის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებ სომალელთა გარდა, სხვა სომალელები არ დაუბრუნებიან. შვედეთის უფლებამოსილმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ განმცხადებლები, მიუხედავად მათ მიერ ინფორმაციის უარყოფისა, შვედეთში ვიზიტამდე სომალილენდში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და დაბრუნებით საფრთხე არ დაემუქრებოდათ. აღსანიშნავია, რომ შვედეთის ხელისუფლების შესაბამის ორგანოები არ დაკავშირებიან სომალილენდის ხელისუფლებას იმისათვის, რომ დაედგინათ დაიშვებოდნენ თუ არა განმცხადებლები ამ ტერიტორიაზე.

სასამართლომ განმცხადებელთა სანდოობის შეფასებისას მიუთითა შვედეთის მთავრობის მიერ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კერძოდ, შვედეთის შესაბამისმა ორგანოებმა განმცხადებელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია საეჭვოდ მიიჩნიეს და დაადგინეს, რომ ისინი სომალის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, ვიდრე დატოვებდნენ ქვეყანას. აღნიშნული დასკვნა ეყრდნობა ენის ტესტს, რომელიც მათ ჩაუტარდათ, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პირველი განმცხადებლის საუბარში ჩრდილო სომალის დიალექტი უფრო ჭარბი იყო, ვიდრე სამხრეთის. მეორე განმცხადებელი კი იყენებდა, როგორც ჩრდილო სომალისთვის დამახასიათებელ დიალექტს, ასევე სამხრეთისას. პირველი განმცხადებლის შემთხვევაში, პასპორტის შტამპებით დადასტურდა ის ფაქტი, რომ 2000 წლიდან 2005 წლამდე ის იმყოფებოდა ლოვიაკადოში, ბორამასა და ბერბერში, რომლებიც სომალილენდში

მდებარეობს. მის პასპორტში საერთოდ არ იყო სომალის სამხრეთ ნაწილის შტამპები. სწორედ ამიტომ, სასამართლო ექვევქვემ აყენებს განმცხადებელთა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ 1999 წლიდან 2008 წლამდე ისინი ჰოსინგოში ცხოვრობდნენ და მათ არ ჰქონდათ კავშირი სომალის ჩრდილოეთ ნაწილთან.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ინფორმაციის საფუძველზე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება განმცხადებელთა მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ 1999 წლიდან 2008 წლამდე, ვიდრე სომალს დატოვებდნენ, ისინი ჰოსინგოში ცხოვრობდნენ. ამ შემთხვევაში, მათ უნდა წარმოედგინათ საკმარისი ახსნა-განმარტება არსებულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით. ამასთან, განმცხადებლებს ეროვნული ხელისუფლების დონეზე არ წარუდგენით არანაირი პრეტენზია ენის ტესტის შედეგებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებლებს არ მიუწოდებიათ ენის სხვა ტესტის შედეგები სასამართლოთვის. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ არანაირი ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამისი კვლევის შედეგად დადგენილ იქნა, რომ მეორე განმცხადებელი დაიბადა 1990 წელს და წარმოშობით იყო სომალილენდიდან. უფრო მეტიც, პირველმა განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა სათანადო ახსნა-განმარტება პასპორტში არსებულ შტამპებთან დაკავშირებით, რომლებიც ადასტურებდა, რომ განმცხადებელი 2000 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში იმყოფებოდა ლოვიაკადოში, ბორამასა და ბებერაში, რომლებიც სომალილენდის ტერიტორიაზე მდებარეობს. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების წინაშე განმცხადებელმა წარმოადგინა ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია 2008 წელს მომხდარ მნიშვნელოვან შემთხვევასთან დაკავშირებით; კერძოდ, იქნა თუ არა სოფლის სულიერი ლიდერი მოკლული ალ-შაბაბთან მოლაპარაკებების დასრულებისთანავე თუ ექვსი დღის შემდეგ; გარდა ამისა, განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იქნა მოკლული სულიერი ლიდერი. ასევე, განმცხადებელმა წარმოადგინა ბუნდოვანი ინფორმაცია სომალის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მეორე განმცხადებელს, მან ვერ წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია თავისი სოფლისა და კლანის შესახებ.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დააკმაყოფილა შვედეთის ხელისუფლების ორგანოების შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელი სომალილენდში ცხოვრობდა სომალის დატოვებამდე და აღნიშნული სათანადოდ იქნა დასაბუთებული შვედეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ შვედეთის ხელისუფლებას გამიზნული ჰქონდა განმცხადებლის დაბრუნება პირდაპირ სომალილენდში, თუმცა მგზავრობასთან დაკავშირებული საკითხები არ ჰქონდა

განხილული. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ განმცხადებლები არ იქნებოდნენ დაშვებულნი სომალილენდის ტერიტორიაზე, შვედეთის ხელისუფლების მიერ გაკეთდებოდა ახალი შეფასება მათთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებმა ვერ დაადასტურეს ის, რომ სომალილენდში დაბრუნების შემდეგ, ისინი აღმოჩნდებოდნენ კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური რისკის წინაშე. შესაბამისად, განმცხადებელთა დეპორტაცია სომალილენდში არ გამოიწვევდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

#### **შედეგი:**

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელთა მიმართ დეპორტაციის ბრძანების აღსრულება არ გამოიწვევდა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას.